

გამოყენების ინსტრუქცია

ბიოფენიკოლი 500 აქვა (Biofenicol 500 aqua)

Florfenicol

წამლის ფორმა: ფხვნილი პერორალური, გამოიყენება ვეტერინარიაში

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიბაქტერიული პრეპარატი, ფლორფენიკოლის ჯგუფის ანტიბიოტიკი. ATCvet code: QJ01BA90

სამიზნე სახეობა: შინაური ფრინველი (ბროილერი, იხვი, ბატი), ღორი, თევზი

შემადგენლობა

1 გ ფხვნილი შეიცავს, აქტიურ ნივთიერებას: ფლორფენიკოლს 500 მგ

დამხმარე ნივთიერება: ლაქტოზა 500 მგ.

აღწერა: თეთრი ან მოყვითელო ფერის ფხვნილი

გამოშვების ფორმა, შეფუთვა: 500 გ ფხვნილი, თეთრი ფერის პოლიეთილენის კონტეინერში.

ფარმაკოლოგიური თვისებები

პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი აქტიური ნივთიერება **ფლორფენიკოლი** - სინთეზური ანტიბიოტიკია და როგორც თიამფენიკოლის მონოჰიდრატის წარმოებულს ახასიათებს (თიამფენიკოლის ქლორფენიკოლთან შედარებით) მოქმედების უფრო ფართო სპექტრი. ქლორფენიკოლისგან განსხვავებით იგი შეიცავს p-მეთილ სულფონილის ჯგუფს, p-მეთილ ნიტრო ჯგუფის ნაცვლად. ფლორფენიკოლი მაღალ მგრძობელობას ავლენს გრამდადებითი (*Corynebacterium pyogenes*, *Streptococcus* spp., *Staphylococcus* spp., *Clostridium* spp.) და გრამუარყოფითი ბაქტერიების (*E. coli*, *Salmonella* spp, *Pasteurella haemolytica*, *P. multocida*, *Haemophilus Somnus*, *Actinobacillus pleuropneumonia*) მიმართ, რომლის ბაქტერიციდული და ბაქტერიოსტატიკური მოქმედება ეფუძნება ბაქტერიულ რიბოსომებში პროტეინის სინთეზის ინჰიბირებას. ფლორფენიკოლის მაღალი ეფექტურობა დამოკიდებულია ფტორის მიერ ბაქტერიული ფერმენტული აცეტილირების ბლოკირებაზე, რომელიც ჰიდროქსილის ჯგუფში ანაცვლებს მე-3 ნახშირბადის ჯგუფს.

ფლორფენიკოლი სწრაფად და ხარისხიანად ადსორბირდება საჭმლის მომწელებელ ტრაქტში, სისხლით მიეწოდება ყველა ორგანოსა და ქსოვილს. 20 მგ/კგ-ზე მიღებით თერაპიული კონცენტრაცია ნარჩუნდება ორგანიზმში 24 სთ-ის განმავლობაში. ანტიბიოტიკი ორგანიზმიდან ძირითადად გამოიყოფა შარდით 97%, დარჩენილი ნაწილი კი ფეკალთან ერთად. შარდში არსებული ნაწილი უცვლელი სახით გამოიყოფა (52%), ხოლო ნაწილი ფლორფენიკოლის (7,5%) და ოქსამინის მჟავის (25%) სახით. ამ მეტაბოლიტების ეფექტი ძალიანაა მიახლოებული ანტიბაქტერიულ ეფექტურობასთან.

გამოყენების ჩვენებები

ბიოფენიკოლ 500 აქვა გამოიყენება შინაური ფრინველის (ბროილერი, იხვი, ბატი), ღორის საჭმლის მომწელებელი სისტემისა და რესპირატორული ინფექციური დაავადებების (მ.შ. კოლისეპტიცემიისა და საკულიტის) პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის, რომელიც

გამოწვეულია ფლორფენიკოლის მიმართ მგრძობიარე მიკროორგანიზმებით (Actinobacillus spp. Pasteurella spp. Salmonella spp. და Streptococcus spp).

პრეპარატი ასევე გამოიყენება მტკნარი, მლაშე წყლებისა და ზღვის თევზების (კალმახი, ორაგული, კობრი, კაპარჭინა, ზღვის ქორჭილა) ინფექციური დაავადებების მკურნალობისთვის (როგორცაა: ფურუნკულოზი - Aeromonas salmonicida, ვიბრიოზი - Vibrio anguillarum, ერსინიოზი - Yersinia ruckerii, ბაქტერიული ჰემორაგიული სეპტიცემია - Aeromonas hydrophila, Pseudomonas sp., კოლუმნარის დაავადება - Flexibacter columnaris, სტრეპტოკოკური ინფექციები - ჰემოლიზური და არაჰემოლიზური, ზამთრის დაავადებები - Pseudomonas anguiseptica, Edwardsielloasis - Edwardsiella ictaluri, Edweersiella tarda, პასტერელოზი - photobacterium damsel subsp. Piscidia, ზღვის ფლავობაქტერიოზი - Tenacibaculum maritimum სანაშენე თევზში).

გამოყენების წესი და დოზირება

შინაური ფრინველი (ბროილერი, იხვი, ბატი): ფარმაკოლოგიური დოზა: პერორალურად, 20 მგ/კგ ცოცხალ წონაზე, სასმელ წყალთან ერთად, 3-5 დღის განმავლობაში.

პრაქტიკული დოზა: 100გ/400ლ სასმელ წყალთან ერთად, 3-5 დღის განმავლობაში.

ღორი: ფარმაკოლოგიური დოზა: პერორალურად, 5-10 მგ/კგ ცოცხალ წონაზე, სასმელ წყალთან ან საკვებთან ერთად, 5 -7 დღის განმავლობაში.

პრაქტიკული დოზა: ინდივიდუალურად ან ჯგუფურად 1გ / 40 - 80კგ ც.წ-ზე, სასმელ წყალთან ან საკვებთან ერთად, 5 -7 დღის განმავლობაში.

თევზი: ფარმაკოლოგიური დოზა: პერორალურად, 10 მგ/კგ ცოცხალ წონაზე, საკვებთან ერთად, 10 დღის განმავლობაში.

პრაქტიკული დოზა: 0,02გ/კგ ცოცხალ წონაზე, საკვებთან ერთად, 10 დღის განმავლობაში.

თევზის საკვების პროპორცია (ცოცხალ წონაზე გაანგარიშებით, %)	პრეპარატის რაოდენობა 1ტ საკვებზე, (კგ)	პრეპარატის რაოდენობა 10 დღიანი მკურნალობის ჩასატარებლად
0.5%	4	20 კგ
1%	2	10 კგ
2%	1	5 კგ
3%	0.66	3.33 კგ
5%	0.4	2 კგ

თევზისთვის პრეპარატიანი საკვების მომზადება: წინასწარ აწონილი პრეპარატი თავსდება მიქსერში ან შემრევში, შერევის პროცესში ესხურება 1% ცხიმში. შერევა გრძელდება 2-5 წთ. სანამ არ მიიღება ერთგვაროვანი მასა. პრეპარატის მიცემის წინ თევზი უნდა იყოს მშვიერი 12-24 სთ განმავლობაში. საკვების და პრეპარატის რაოდენობა იცვლება წყლის ტემპერატურის და თევზის ზომის შესაბამისად.

მკურნალობის პერიოდში საწყურებლად ან საკვებად უნდა გამოიყენოთ მხოლოდ პრეპარატიანი წყალი ან საკვები. შენამზადი უნდა იყოს ახალი მომზადებული, ყოველდღიურად თავიდან უნდა მომზადდეს.

უკუჩვენებები

პრეპარატის ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებისას, უკუჩვენებები არ აღინიშნება.

პრეპარატი არ გამოიყენება:

- სისხლმზადი ორგანოების, ღვიძლისა და თირკმელით დაავადებულების მიმართ;
- ფლორფენიკოლის მიმართ მაღალი მგრძობელობის დროს;
- მაკეობის პერიოდში.
- ტოქსიკოზის განვითარების შესაძლებლობის გამო არ გამოიყენება თიამფენიკოლთან ან/და ქლორამფენიკოლთან, პენიცილინის ჯგუფის ანტიბიოტიკებთან, ცეფალოსპორინებთან, ფტორქინოლონებთან, სულფამილამიდურ პრეპარატებთან ერთად.
- თევზებში, 5°C-ზე დაბალი წყლის ტემპერატურაზე.

გვერდითი მოვლენები

რეკომენდებული დოზების გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

მკურნალობის პერიოდში შეიძლება მოხდეს საკვებისა და წყლის მოხმარების შემცირება და დროებით ფეკალის დარბილება ან დიარეა.

ღორებში შეიძლება აღინიშნოს დიარეა, პერიანალური და სწორი ნაწლავის ერიტიემა / შემუპება და სწორი ნაწლავის პროლაფსი. ეს ეფექტები გარდამავალია.

პრეპარატი შეუთავსებელია Mg^{2+} , Al^{3+} , Ca^{2+} კათიონების შემცველ პრეპარატებთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი უკავშირდება ფლორფენიკოლს და ხელს უშლის მის შეწოვას.

პრეპარატის ურთიერთქმედება

არ შეიძლება პრეპარატთან წყალში სხვა პრეპარატების შერევა.

ჭარბი დოზირება

ფლორფენიკოლის 60 მგ-მდე კგ ც.წ-ზე, სასმელ წყალთან ერთად, 7 დღის განმავლობაში გამოიყენება არ იწვევს უკუჩვენებებს. საჭიროა პრეპარატის რეკომენდებული დოზით გამოყენება.

განსაკუთრებული მითითებები

- დაუშვებელია მკურნალობის პერიოდში რეკომენდებული დოზის გადაჭარბება.
- გაუფრხილებლობით მიღებული დაზიანებების შემთხვევაში მიმართეთ მკურნალ ექიმს.
- მოერიდეთ პრეპარატთან შეხებას, გამოყენების შემდეგ დაიბანეთ ხელები.

დაყოვნების პერიოდი

შინაური ფრინველის ხორცის, სუბპროდუქტების და კვერცხის ადამიანისთვის საკვებად მოხმარება დასაშვებია პრეპარატის ბოლო მიღებიდან 6 დღის შემდეგ;

ღორის ხორცის, სუბპროდუქტების ადამიანისთვის საკვებად მოხმარება დასაშვებია პრეპარატის ბოლო მიღებიდან - 14 დღის შემდეგ;

თევზის საკვებად მოხმარება დასაშვებია პრეპარატის ბოლო გამოყენებიდან 16 დღის შემდეგ (5°C-დან 10°C-მდე წყლის ტემპერატურაზე) ან 8 დღის შემდეგ (10°C-ზე მეტი წყლის ტემპერატურაზე).

აღნიშნული ვადების გასვლამდე იძულებით დაკლულთა ხორცი შეიძლება გამოყენებულ იქნას ხორცის მჭამელთ ცხოველთა საკვებად.

შენახვის პირობები

ინახება სინათლისგან დაცულ მშრალ და გრილ ადგილზე, ოთახის ტემპერატურაზე (15-25°C).

ვარგისობის ვადა: 2 წელი

მწარმოებელი ქვეყანა: შპს "ბიოტექსი", საქართველო